



# გათოჯინს ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად: განცხადების ფასი:

1 გვერდზე პერიტივ სტრიქონი	20 მან.
4 " " " " " " " "	15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოწერა წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლოპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზე № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდე. სტრედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შაბათს 10 საათ. საღ. 3ს.

№ 74

ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო

№ 74

ელექტრო-თეატრი „ბნოლლო“

ნ. დ. ბროვალ-სხინტლანის

შაბათიდან 4 დეკემბრიდან დაიწყება

კინო-რომანის ჩვენება

## ნილაზი

16 ეპიზოდი—32 ნაწ.

მთავარ როლს ასრულებს

ცნობილი პირლ-უაიტი

6 სერია. ეპიზოდი—11 დამნაშავე და მართალი—12 შეღწის ნიშანი დასასრულ გადაცემულის თავგადასავალი სასაცილოა.

ანონსი: ოთხშაბათს, 8 დეკემბერს—7 სერია ნილაზი თეატრი კბილებით.

ელექტრო-თეატრი „ტრიუმფი“

თეატრი მოწოდების საზამთროთ

ამერიკული სისტემით, მყუდრო და თბილად.

სამშაბათიდან, 1920 წ. 7 დეკემბერს

შატრული დრამა

მოზეუნიისა და ლისენკოს მონაწილეობით

## სინილისის წინაშე

(დელოფალა).

დრ. 5 ნაწილი.

დასასრულ

## ემოკრიელი

მეცნიერული სურათი.

### შეხვედრის თეატრი

### სახალსო წარმოდგ. მმართველი წრე

12.

ოთხშაბათი, 8 დეკემბერი

დ. ერისთავი ცნობილი ისტ. პიესა

## სამშობლო

6 სურათად.

რეჟისორი იმ. ბარკველი

მონაწილეობენ: მსახიობნი და სცენის მოყვარეთა მთელი წრე

### ტანსაცმელი ქუთაისის თეატრის

გარდაცემული

ადგილების ფასი მომატებულია დასაწყისი საღამოს 8<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე სახ. წარმ. მმართველი წრის აღმ-ცია.

შემდეგი წარმოდგენა კვირას, 12 დეკემბერს მზადდება ახალი პიესა ტრ. რამი შეილისა „**ფათა მოტახილი ყოჩანი**“

### საუცხოვოდ მოწოდებილი გემი

## „ზრანს“



## ფერლი-ნანდი

მოვა 7 დეკემბერს, გავა უსათუოდ 8 დეკემბერს გაიფლის ტრაპეზუნდში, კოსტანტინეპოლში, მესინაში და ნეაპოლში მიიღებს მგზავრებს 1, 2, 3 კლასს. და ბარჯს ცნობების მიღება შეიძლება ლლოიდ-ტრეისტინოს სააგენტოში, სომხ. შესახვევი № 4

### განსაკუთრებულ

### გვართვალუგაში.

— კვირას 5 ნოემბერს გაიმართა ჯარისა და გვარდიის აღლუმი. აღლუმს დაესწრო მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული გ. გიორგაძე რამდენიმე დღით თბილისის გაემგზავრა. მისი მოვალეობა

კუთრებული რწმუნებული გ. გიორგაძე.

— სამსახურის საქმეთა გამო მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული გ. გიორგაძე რამდენიმე დღით თბილისის გაემგზავრა. მისი მოვალეობა

ბის შესრულებას შეუდგა სამხედრო ნაწილის უფროს გენ ზაქარია მღვიანაი.

### გათოჯინი, 7 დეკემბერი.

ბათუმის ოლქს ყოველ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. საგანგებო ზომებით ზრუნავენ გზებზე, იწმინდება ადმინისტრაცია, იდევნებიან მავნე პირები, დამუშავებული კრების წევრები მოხუცი ისიდორე რამიშვილი და ბათუმის ქალაქის მოსურავი მურულულის თოვლიან მთებიდან შავშეთის მაგებში გადადიან, ხალხს ასმენენ საქართველოს მთავრობის სიტყვას და აცნობენ მდგომარეობას. სამუსლიმანო საქართველოს ყოველ დაბა სოფელს ეწვიენ პასუხის მგებელნი წარმომადგენელი ქართველი დემოკრატიისა და პირისპირ წარუდგენ მშრომელ ხალხს

მთელი ხალხი ეცნობა დღეს თავის ბედს, აფასებს თუ რა სიკეთე მოუტანია დედა სახელმწიფოსთან გაერთიანებას და ნაცარ-ტუტას მიიჯობს, რომლებშიც მას საქართველოს წინააღმდეგ სძრავდენ. დემოკრატიის პასუხისმგებელ წევრთა ასეთი მუშაობა აქ, ოლქში, მოგვცემს აუცილებელ სიმაგრეს და ხალხის სულეფერ განწყობილების სიმტკიცეს.

მით უმეტეს ეს უადრესად დაგვიჭირდა დღეს, როცა აზერბეიჯანის ცეცხლს სომხეთის ცეცხლი მიემატა, სომხეთი გაბალშევიკდა და ამ რიგად ჩვენ ირგვლივ მდგომარეობა ხიფათის განმზადე თუ არა ყოველ შემთხვევაში სანდოც ვერ იქნება. დღეს გვეჭირა ქვეყნის ყველა კუთხეებში სისაღე და სიფხიზე.

უნდა გავრძელებდნ მშრომელ ხალხში თვალთ ასახელი მუშაობა და ამავე დროს უნდა გავამაგროთ ოლქი, შევკრათ ის ერთ ჯავშნიან ცხეში, რომლის გარეთ კედ-

ლებზე იდგეს საკმაო რაზმი ქართველ მშრომელ შეიარაღებულ ხელისა და მის შიგნით კი მტერი ვერ ეკარებოდეს ხალხის შეგნებას, ხალხის თვითცნობიერებას.

აშვირ-კავკასიაში ვითარება ქალთური ხდება, საქართველო ისევ დინჯათ განაგრძობს დემოკრატიულ ხელმწიფებას და თავის ხალხს იცავს აზერბეიჯანის და სომხეთის მსგავს ავანტიურებისგან.

ბათუმში უმეტესი სიფხიზე და გონების სიმახილე მოგვეთხოვება. ამ დროს ყველა შეუდგეთ ძლიერ მუშაობას და ქვეყნის თავისუფლებისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, გავილოთ მაქსიმუმი ყოველგვარ მსხვერპლისა და შრომისა.

მაშინ გამარჯვებაც ჩვენთან იქნება. დემოკრატიული თავისუფალი საქართველო მარადიულად იცოცხლებს!

### სომხეთი გაწითლდა.

სომხეთი გაწითლდა, უფრო მართალი რომ ვსთქვათ სომხეთი გააწითლეს. სომხეთი გააწითლა საბჭოთა რუსეთიდან მოსულმა წითელმა ჯარებმა. განმეორდა ბაქოს ისტორია მხოლოდ სხვა ფორმებში. აზერბაიჯანის მთავრობამ ვერ შექმნა სახელმწიფოსათვის შიგნითი სიმტკიცე, ვერ გაატარა სოციალურ პოლიტიკური რეფორმები, ის აზრდილი სახელმწიფოებრივობისა, რომელიც აზერბეიჯანში იყო გაიხრწნა, ბოროტმოქმედებაში, კანცელიარშინაში და ბიუროკრატიზმში ჩაფლო. აზერბაიჯანის მთავრობა სძარცვავდა ხალხის სიმდიდრეს ისე, როგორც დიდ შარა-გზაზე ყაჩაღი ვინმე სძარცვავს გამვლელ გამოძვლელს. ამ გარემოებამ დააუძლურა აზერბაიჯანი შიგნით, სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება სიღონე იყო აშენებული, რადგან მისი საფუძველი იყო უკმაყოფილება ყველასა და ყველგან. მეორე მხრით

აზერბაიჯანის ხელმძღვანელები პანისლამისტურმა იდეამ გაიტაცა, ისინი მუდამ წამს სტამბოლისკენ იხედებოდნენ, ანგორის მთავრობის ღირებულებას ასრულებდნენ მუდამ. მუსავატელების დროს აზერბაიჯანის სატანტო ქალაქში, ბაქოში, აშკერათ მუშაობდა ნური-ფაშას შტაბი, და ამ შტაბში „მსოფლიო რევოლუციის საკეთილდღეოდ“ ქემალის აგენტებთან ერთად თანამშრომლობდნენ „ინტერნაციონალური კომუნისტების მოციქულები“ ბოლშევიკები ვიქტორ ნანეიშვილი და კორხმაზოვი. და როცა გადაჭარბებული სიერთაველით კონტრაზინველკის აგენტებმა მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციისათვის „შემთხვევით“ დაატუსაღეს კორხმაზოვი, აზერბაიჯანელ მუსავატისტების მთავრობამ ნური-ფაშას მოთხოვნით გაანთავისუფლა ის, ბოლიშევიკ მოიხადა.

შინგით სიმტკიცის უქონლობამ, გარეთ პანისლამიზმით გატაცებამ და ავანტიურაში ჩაქრამ, წაართვა აზერბაიჯანს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს ყოველი ნიშანი-წყალი და კომუნისტურმა რუსეთმა ერთი ჯავშნოსანით დაიპყრო მთელი აზერბაიჯანი. დამოუკიდებლობის იდეა გაამახსოვრეს აზერბაიჯანის ხელმძღვანელებმა და მათი მეოხებით ვერც ხალხმა დაფასა ის.

აზერბაიჯანი ვერ გაიმსჯელა დამოუკიდებლობისადმი სიყვარულით, და დაკარგა ის, რაც 1918 წელს ოსმალეთის ფაშებმა უბოძეს—დამოუკიდებლობა. ახლა ის საბჭოთა რუსეთის საწველი ფური, უსიტყვო ვისალია.

ესევე განმეორდა სომხეთშიც, მხოლოდ ვიმეორებ სხვა მიზეზების გამო და სხვა ფორმებში.

სომხეთის მმართველ პარტიას არ უთქვამს თავიდანვე გადაჭრით, რომ მას სურს დაიკავს თავისი დამოუკიდებლობა, სომხეთის ინტელიგენციის პასუხისმგებელი პირები რუსეთს ეფიცებოდნენ სიერაგულით ზოგი დონის როსტოვში (დენიკინს) და ზოგიც მოსკოვში (ლენინს), იმავე დროს ისინი აგიტაციას ეწეოდნენ, ანტანტის წრეებში დამოუკიდებელ სომხეთის სასარგებლოდ. მხოლოდ მის შემდეგ, რაც ანტანტის წრეებში გადაწყდა საკითხი დიდი დამოუკიდებელი სომხეთის შექმნისა, ადგილობრვად დაშნაკებმა ხმა ამოიღეს და დაიწყეს ლაკარაკი დამოუკიდებლობის დაცვაზე. მაგრამ ამ დამოუკიდებლობის დაცვაში სომხეთის ხელმძღვანელი წრეები არ აყვარდობოდნენ საკუთარ ძალებს, მათი ყურადღება ლონდონ ნიუ-იორკისკენ იყო მიპყრობილი, იქიდან ელოდნენ მხსნელებს.

ერთ დროს ცნობილი უტოპისტები სენ-სიმონი, ფურიე და რობერტ ოუენი ელოდნენ მდიდრებს, რომლებიც განიმსჯელებოდნენ კაცობრიობისადმი სიყვარულით და მთელ თავის ქონებას გაიღებდნენ მათი პროექტების განსახორციელებლად, კაცობრიობის გასაბედნიერებლად. ამო იყო მათი ცდა მათ ვერ კარგვს გამოძახილი.

ასევე უცდიდნენ სომხეთის ერის ხელმძღვანელები გარეშე მხსნელებს, რომლებიც განიმსჯელებიან სიბრალულით სომხეთის ერისადმი და დაეხმარებიან მას სახელმწიფოს შექმნაში, განმტკიცებაში და ბოლო მოეღება ერის უსაზღვრო ტრადიციას. სომხეთის ხელმძღვანელები დიდი სომხეთის შექმნას ლაობდნენ, მაგ-

რამ ამ საკითხს ისინი სწყვეტდნენ არა იმ სახელმწიფოებთან შეთანხმებით, რომელთაც ეს შეეხებოდა, არამედ კლემანსო-ლოიდ-ჯორჯთან დელეგაციების გზავნით. დიდი სომხეთის რუქა დახატა ვილსონმა. ანტანტამ სომხეთს მისცა ის მიწები, რომელიც ქემალის ლაშქარს ეჭირა, მაგრამ თითოც არ გაანძრია ამ მიწების გასანთავისუფლებლად, სომხეთისათვის გადასაცემად.

ვერც მეზობლებთან დაამყარა საიმხეთო კეთილი განწყობილება, მუხნდავად ჩვენი დიდი ცდისა და სურვილისა.

და როცა სომხეთისათვის დადგა საბედისწერო ჯამი ყოფნა არ ყოფნისა, დაიმხვრა ყველა იმედები, რომელსაც სომხეთში ამყარებდნენ ანტანტაზე, სომხეთი თავის ძალების ამარა დარჩა, „დიდმა ძმებმა“ ვეროპიდან და ამერიკიდან დაიწყეს ის, ინგლისმა უარყო სევრის ხელშეკრულება, ინგლისი მზად არის თუ ქემალი ლენინის წინააღმდეგ წავა, დაუბრუნოს მას ყველა ის ადგილები, რომელიც სევრის ხელშეკრულებით დიდი სომხეთის სახელმწიფოს ტერიტორიაში უნდა შესულიყო.

სომხეთი დაცვა უსწორო ბრძოლაში, ხმალი ხელიდან გაუვარდა, ყურა-ბეჭირის ლაშქარმა სომხეთის ძლიერების ბჭეები დაიპყრო და მის შემდეგ დაუძლიერებული, დამარცხებული სომხეთი დაიკავა წითელმა, ლაშქარმა რომელიც მხოლოდ დაძახებას უცდიდა, რომ სომხეთი გაეხედნიერებია თავისი მისვლით. სომხეთში არ მომხდარა შინაური გადატრიალება, სომხეთის მთავრობამ თუ დაუთმო ადგილი ბაქოში შექმნილ სომხეთის რევკომს, მხოლოდ ამიტომ, რომ უკანასკნელს ზურგს რუსეთის წითელი ლაშქარი უმაგრებდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ჯერ-ჯერობით არ მოგვებოვება სწორი ცნობები ერევანში მომხდარ ცვლილებების შესახებ, არ ვიცით თუ რით არის გამოწვეული, რომ სომხეთის რევკომში ორი დაშნაკი შევიდა.

მაგრამ ერთი ცხადია, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ ერთა ოჯახს კიდევ ერთი წევრი გამოეცალა. მიზეზი იმ საშინელი ტრადიციისა, რომელიც სომხეთის ერმა გაიკადა ამ უკანასკნელ დღეებში, უნდა ვეძიოთ წარსულ პოლიტიკაში, რომელსაც სომხეთის მთავრობა აწარმოებდა. უკანასკნელ დღეებამდე სომხის ერის ხელმძღვანელებმა ვერ შეიგნეს საკუთარ ძალებზე დაყრდნობის მეზობლებთან შეთანხმების აუცილებლობა.

ჩვენ არ მოვიგონებდით დაწვეულ შეცდომებს, ჩვენ მიუხამობრებთ სომხის ერს, ჩვენ გვამწიხრებს, რომ აღარ გვყავს დამოუკიდებელი მეზობელი, მარტონი ვართ, მაგრამ თუ დღეს ორი ყოფილი დამოუკიდებელი ერების შეცდომებს ვფიქრობთ მხოლოდოთ იმიტომ, რომ ვაფიქრობთ, რომ ყველა ისინი, კონც საქართველოსთვის მეტად რთულ დროში გვეუწოდეს სისინებს, ვერაულოთ ხიზხითებს და მოუთმენლად ელის იმ დროს როცა ჩვენც გვეწვევა ისეთი ბედი, როგორიც აზერბაიჯანსა და სომხეთს — წილდება ჩვენი დამოუკიდებლობა. ნაადრევი და უსაფუძლოა მათი იმედი და ოცნება. საქართველოს ვერ ვწვევთ ბედი აზერბაიჯანისა ან სომხეთისა, რადგან ჩვენ მუდამ ჩვენ ძალებზე ვაყრდნობოდით, ჩვენ შინაური გაბატონების საქმეს ვაკეთებდით, არასოდეს არ ვყოფილვართ სხვისი შემყურე, ჩვენი

დამოუკიდებლობის მტრებს თავის ზე რგზე მრალჯერ დამოუცდიათ თუ რა რიგით ვაფასებთ ჩვენ დამოუკიდებლობას.

ქართველი ერი, ათეული არამზადის და ჩვენს საზღვრებს გარე-ოდან მიღებულ ფულებით მოსყიდულ მტრე ჯგუფის გუმოკლებით, როგორც ერთი კაცი დადგება ქვეყნის დამოუკიდებლობის სადარაჯოზე და ყველა იმათ, ვინც შინგით მოინდომებს ჩვენს გატებას, გველივით გაუქვლავს თავს.

მარტო ვართ, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ ჩვენს ძლიერებას. ძლიერი ვართ მით, რომ ვაფასებთ ჩვენს დამოუკიდებლობას, გვეყვარს იგი, გვეჯერ დაგვიცავს მუხთალ მტრებთან თავდასხმისა ან და დავიცავთ მომავალშიც.

ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარლია უკვე დგას ჩვენი ქვეყნის საზღვრების სადარაჯოებზე, და თუ საჭიროა დიხა მთელი ერი დადგება ფეხზე და მკერდით დახვდება ყველა იმათ, ვინც ჩვენს დამოუკიდებელ არსებობას დაემტკრება.

ჩვენ მარტონი ვართ, მაგრამ ვიარსებებთ ისე, როგორც საუკუნეების განმავლობაში ვარსებობდით, ვერ წაგვრეცხა ბარბაროსობის ტალღებმა, რომლებიც ჩვენს გარშემო ბობოქრობდნენ. აწივ მაგრათ ვიდგები.

მ. წ.—ქმ.

### საბჭოთა სომხეთი.

წითელიდან მეზობლები! გაკომუნისტდა აზერბაიჯანი გაბალშევიკდა სომხეთი. ლენინის-ჩიჩერინს შეუძლიათ მოსკოვში გამარჯვებით იხარონ, მაგრამ კომუნისტური გულებრყვილობას თუ ემსგავსებოდა ეს სიხარული.

შემთხვევით შობილ აზერბაიჯანში, რომელსაც არც წარსულში რგუნებია თვით ყოფილი სახელმწიფოური ისტორია და რომელიც 1918წ. მაისის 29-ს დემოკრატიის, მშრომელ ხალხის ნაცვლად კლუბის სასიძო ხანებმა განასახიერა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩვენ არასოდეს გვიწამებია, რომ იქ აზერბაიჯანული სახელმწიფო იხანგრებდა ამ ქვეყანას ეს იმიტომ, რომ სურდა მისი დემოკრატიის ასარგებზე გამოეყვანა და მით ამიერ-კავკასიის დემოკიდებულ ოჯახებისთვის სანდო წევრის შექმნა. მაგრამ გაბრწინილი „მუსავატისტებმა“ და მსუქანმა ხანებმა ყველა ბილიკებზე დაიწყეს ბედის კამათლებით თამაში, ისინი ჩვენ მზეს ლოკულობდნენ თბილისში, ფეშქაშებს გზავნიდნენ სტამბოლში, ვაგონებით თევზ აძლევდნენ დენიკინს და ბოლოს დიდებული ქორწინებაც გადინადეს ბალშევიკებთან შეუღლებით, მაგრამ მკაცრი გამოდგა მოსკოველი სიძემან მზითვბათ მთელი აზერბაიჯანი მოსკოვში ვადალაგა, შემდეგ დაერიო მსუქან ხანებს და ყველას თავები დააყრევინა. მოსკოვმა ფეხქვეშ გაიგდო საექსპლუატაციოდ აზერბაიჯანის მშრომელი ხალხი, რაც ჩვენ გვაფიქრებდა და გვაწუხებს, თორემ ხანები ამა რა საბრალონი არიან — ხალხის ბედ იღბლით მოვჭრე ვერაგები არავინ დაინდო.

აზერბაიჯანის მაგალითი თვალწინ ქონდა სომხეთს, მაგრამ ავანტიურიზმის ტრადიციით ნაზარდმა დაშნაკუტუტუნმა ეს ავანტიურაკ ჩაიღინა. სომხეთი მოკრძალებით ეკიდებოდა მის სახელმწიფოს გაძაგრებას ამიერ-კავკასიაში. ის ხან დენიკინს და ხან მოკავშირეებს სთხოვდა კალთების

გადაფარებას. სომხეთის ხელმძღვანელის იმიერ-გაქსისაში მოსკოვის დროს გამარჯვებულად სთვლიდა თავს და მოულოდნელად ომიც აგვიტება. შემდგომ დიდ სომხეთზე დაიწყო ოცნება, შინგითი სახელმწიფოური სააღმშენებლო მუშაობას ხელი არ მოკიდა, ხალხს არ აგრძობინა დამოუკიდებლობა და სამაგიეროდ ინტენსიური გახდა პროცესიცია საქართველოს წინააღმდეგ, როცა მისმა დელეგაციამ ქ. ბათომი მოითხოვა ევროპაში. დაშნაკუტუნს ჩვენთან პირი გაფუქებული ქონდა, წარსულში ჩვენ მას ვიცნობდით, როგორც გაიმეგრას და ვარონცოვ დაშვი ვის ბარტიას, ვის ორ ახსოვს სომხეთის თვალის ბ-ნ ხატისთვის გულის თბილად აძგერება, როცა ის ქაღარა თბილისს სახელით იმპერატორ ნიკოლოზს სიტყვას ეუბნებოდა. ჩვენ ვიცნობდით დაშნაკებს და უბედურად ესთვლიდით! სომხის ხილხს. რომელსაც გერაგი დაშნაკი სისტემატიურად უფსკრულისაკენ და დაუზღვისაკენ მიაქნებდა.

როცა დაშნაკები ქემალს ებრძოდნენ სომხეთის სახელით ჩვენ მას სრულ თანაგრძობით მოვეყარით.

დღეს კი როდესაც დაშნაკუკანმა, უშნოდ ჩამოუშვა დროშა სომხეთისა, ვერც ჯარში ვერც ხალხში და ვერც პოლიტიკაში სალი სახელმწიფოური ნიქი ვერ გამოიჩინა, ჩვენ მას ვკიცხავთ, როგორც მოღალატეს თავის ხალხისას.

ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს ერთ-ვნი ულად და სახელმწიფოურად მოუშნადებელ შეუგნებელ სომხეთში. და გინა ეს ორ იცის ლენინმა. ბალშევიკებმა იმხნგრევიან იქ, სადაც ხალხი ეროვნულ სახელმწიფოურად არის აღზრდილი და ქვეყანას დემოკრატიული მასები შესაქვობენ. მაგრამ რათ უნდა ვაგვიკვირდეს—საზოგადოთ ბალშევიკებს შეუგნებელი მასები აკოცხლებენ. საბჭოთა სომხეთი — ამ დევებრის თვეში სამასხარო ვ-თამაშებია დაშნაკუტუნის პოლიტიკისა, რომელიც არქვის ბარდება და რომელიც თუ განჯის უბე-უფრებას არა, ყოველ შემთხვევაში სიამ—ტბილ ცოლქმრულ ცხოვრებას ნუ მოვლის მისკოვის ბატონობისაგან.

საქართველო შესაფერისად დაფასებს სომხეთის ამბებს და მეზობლის ასეთი უშნო სიკვდილი ზედ მეტად გააფრთხილებს და გააღვიძებს თავისუფლებისთვის თავდადებულ საქართველოს ხალხს.

საქართველო ხედავს, რომ სომხების ანგარიში ასეთი იყო—ქემალისტებისგან თავის დასაღწევად მოსკოვის კალთები ვადიფარა, ერევანმა, ხოლო მოსკოვმა ქემალის საფრთხის ასაშორებლად, რომელიც ბაქოზე მიდიოდა და რომელსაც ანტანტი უბირებდა ვამიყენებას, სომხეთი გაბალშევიკა და ამ კომედით სომხეთი ქემალს დაუკავშირა, რითაც დროებით მაინც არიდებულთა ყარა-ბეჭირის მუქარა ბაქოს მიმართ.

ამ რიგად ჯერჯერობით ბალშევიკებმა მოიგეს, წაავსეს სომხებმა და ქემალისტებმა. დაუცადოთ რას იტყვის ამის შესახებ ოსმალეთი.

საქართველოსთვის აფერადლა პერსპექტივები:

ბოლშევიკების და სომხების ზიარი ავანტიურა ამიერ-კავკასიაში და ოსმალეების ახალი პოზიცია მათ მიმართ.



ყველა შემთხვევაში ქართველი დემოკრატია, ქართველი მუშა და გლეხი ფიზიკურად იდგომილება საზღვრების დასაცავად. იცოდენ ჩვენმა მტერ მოყვარებებმა ეს და უმრთებულად ჩვენსკენ ნუ გადმოაბიჯებენ.

ი. დიდიკაძე.

### პეპ. გეგეჭკორი ლონ-ლონში.

(საქ. დეპ. სააგენტო)

სექტ. 7-დან ოქტ 1-დის. გ. გეგეჭკორმა დაჰყო ლონდონში, სადაც მან იხატულა ყველა პარტიის ვაგლენიანი მოღვაწენი და ინგლისის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელნი. ე. პ. გეგეჭკორი მათთან მოლაპარაკების აწარმოებდა საქართველოს რესპუბლიკის „დეიურე“ ცნობის შესახებ.

სექტ. 18. ე. პ. გეგეჭკორმა ინახულა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი. ამ შეხვედრისას განხილულ იქნა ძირითადად საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობასთან შეკავშირებული საკითხები. საუბარმა სათნახევარს გასტანა.

სექტ. 29 ე. პ. გეგეჭკორი თემთა პალატაში მიიწვია დეპუტატმა ვილიამსმა (ლიბერალი). თემთა პალატაში გეგეჭკორს გაუკუყუეს საუბრე, რომელზედაც დაესწრნენ როგორც ლიბერალურ აგრედვე კონსერვატიულ პარტიების წარმომადგენლები. აქ ე. გეგეჭკორმა დეპუტატებს გააცნო საქართველოს მდგომარეობა, გადასცა მათ სათანადო მემორანდუმი და სთხოვა მათ საქართველოს საკითხი განეხილათ თემთა პალატაში. დეპუტატები დიდის ინტერესით შეხვდნენ მის მოხსენებას და დაპირდნენ პალატაში საქართველოს რესპუბლიკის საკითხის აღძვრას.

საქართველოს მდგომარეობისა და მის იურიდიულ-დ ცნობის შესახებ. ე. გეგეჭკორი მოლაპარაკებას აწარმოებდა აგრედვე ლორდთა პალატის წარმომადგენელ-ლორდ რობერტ სესილთან, (ინგ. დელეგატია ერთა ლიგაში) და ლორდ ბრაისთან.

ე. პ. გეგეჭკორს რამდენიმე საქმიანი შეხვედრა ჰქონდა ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენელ-ჰედერსონსა, ტიმის შოუსა და მაკდონალდთან.

ე. გეგეჭკორს სურდა ლოიდ ჯორჯთან შეხვედრა. მაგრამ ეს შეხვედრა არ მოხდა იმ საფანგებო ამბების გამო, რომელმაც ინგლისის პრემიერ მინისტრის მთელი დრო მოიპოვა. ლონდონიდან გამგზავრების წინააღმდეგ გეგეჭკორმა ლოიდ ჯორჯისაგან მიიღო წერილი, სადაც ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე იმედს გამოთქვა, რომ მოკლედ დროში მას საშუალება ექნება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან პირადის შეხვედრისა.

### სხვა და სხვა ცნობები.

— ანატოლიაში შემდეგულმა კლასმა აჯანყება მოახდინა ქემალისტების წინააღმდეგ. ქემალისტებმა აჯანყება საშინელი სისასტიკით ჩააქრეს — სტერქნეთის ახალ მთავრობას ემინია მკირე აზიაში მყოფ ჯარების საბერძნეთში გადმოყვანის, რადგან ეს ჯარები ვენიზელოსს თანაუგრძობენ.

— ბაქოს ბოლშევიკებს ძლიერ აფრთხობს ქემალისტების გამარჯვება. ბაქოს გაზეთები საჭიროთ თვლიან ქემალისტების გამარჯვებას სომხეთის გასაწითლებლად. სომხეთის ვაჭართლების შემდეგ ქემალისტებს ამ მხარეზე არაფერი აქვთ გასაკეთებელი და ამიტომ მოსალოდნელია კონფლიქტი მათსა და კომუნისტებს შორის.

— დაღესტანში ოსმალიებიდან ჩაიდა შამილის შვილის შვილი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მთიელთა ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. შამილის შვილის შვილის გარშემო მრავალი იკრიბებიან ყველანი, ვინც კი უკმაყოფილოა ბოლშევიკებს. შამილის შვილის შვილს საიდ — ბეი ქვია.

— დაღესტანში მოძრაობა ბოლშევიკების წინააღმდეგ გრძელდება.

### ტრაპიზონის ცნობები.

— ინგლისის მაიორმა, როგორც აქ ხმები დადის, ინახულია ქემალ-ფაშა და გადასცა ინგლისის აღმოსავლეთის სარდლობას საიდუმლო პაკეტი.

— მობ ლიზაცია ლაზისტანში მეტად ცუდათ ტარდება, ბევრი ლაზი უარს ამბობს ჯარში წასვლაზე, რადგან ყველა ლაზს ანგორისკენ გაგრეკებიან.

— ქემალის მარჯვენა ხელია ალი მირზა, ქერასუნდის ყოფილმა ვლიმ ჯარის წინამძღოლებს განუცხადა რომ ჩვენი ჯარი მალე ბაქოს იიდებო.

### უპანასკნელი სათი.

ს.ო.ხე.ი.

— ბათუმელ უცხო მისიების ცნობით სომხეთის კომუნისტებმა ყოფილ პრემიერს ხანისოვს დახვრეტა გადაუწყვიტეს, იგი თავის მფარველობაში მიუღია ყარა ბეკირ ფაშას.

— ხმები სომხის დაშნაკები დამოუკიდებლად აწარმოებენ მოლაპარაკებას ყარა-ბეკირ ფაშასთან.

### პროზიკა.

დამფუძნებელი კრების წევრის იბორე რამიშვილს, ოლქის მილიციის უფროსს მიქაბერიძეს და მეჯლისის წევრებს მოვლიან ბათუმში ამ ორ დღეში.

ბათუმში ჩამოვიდა რესპუბლიკის მთელი არტილერიის ინსპექტორი გენ. ქუთათელაძე.

მთავრობის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ნება დართო ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოებას 26 დეკემბერს ძველი სტილით გამართოს ტრადიციული მე-38-ე საღამო ბათუმის ობოლ ბავშვთა თავშესაფარის საშეღებათა გასაძლიერებლათ.

4 ოქტომბერს გაიმართა საოლქო საბჭოს სხდომა.

მიღებულია ყველა ზომები ოლქში ტელეფონის ქსელის გასაყვანად, ამ დღეებში თბილისიდან ჩამოვიდნენ სპეციალისტები აპარატებით. ამ დღეებში დაიწყო სატელეგრაფო ხაზის აღდგენა ბათუმსა და აქარის-წყალს შორის.

მეორე სანაპირო რაზმის უფროსმა დაატუსაღა სოფ. ადლიეს

მცხოვრები ჯემალ მიქელაძე, ნური ინჯიბაია და ახმედ ფეიზ ოლღი. ხსენებული პირები შეიპყრნ იმ დროს, როცა ოსმალეთში შიმშილი გვეს იარაღს აწვდიდნ.

დატუსაღებულ იქნენ და ციხეში მოათავსენ გონიის რაიონის მილიციონერები ნაზამ პარტონიძე და დათუშვილი როგორც არა საიმედო პირები.

ხუსენ ლაზ ოლღი, ოსმან ლაზ ოლღი, შაბან კუფელკ ოლღი და აბზა გაბრიელ ოლღი მოახვედრული არიან ქუთაისის ციხეში საგანგებო რწმუნებულის განკარგულებით, როგორც არა საიმედო პირები სამ სამი თვით.

გარადოკში მცხოვრებმა აფხაზმა მეჯიდ ახბამ ქეფეზის დროს დაჭრა ხანჯლით მოდესტ დარუსის. ახბა დატუსაღებულია.

ბათუმის ოლქის მილიციის უფროსი ჟორჯანია თავის ბანებაში მდღობას უცხადებს ოლქის მილიციონერებს ლევან ზენაიშვილს და კ. ორაგველიძეს ყაზაღების წინააღმდეგ ენერგიული მოქმედებისა ვის.

### ნათესაღებები.

დღეს იტალიიდან მოვლიან გემ „ფრანც ფერდინანდს“, რომელიც 8 დეკემბერს უკანვე დაბრუნდება.

გემი „შევილინი“ იქვართება სხვა და სხვა საქონელით და ამ დღეებში გავა ინგლისისკენ.

ხვალ სუხუმიდან მოვლიან გემ „სიკანის“, რომელიც საქართველოდან ევროპაში წაიდებს ხეტეს.

ამ დღეებში რუმინიიდან მოვლიან გემ „ანტიგონას“.

გემი „ტერეო-ბლანკი“ წაიდებს ევროპაში ნიგვის ხეს.

### ბალშევიკების არალეგალური მუშაობა ჩვენში გარეშე ძალების დახმარებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს დეპუტათა სააგენტოს შემდეგი ცნობა გადასცა გამოსაქვეყნებლათ:

„ბოლო დროს ვაცხოველდა კომუნისტური არა ლეგალური მუშაობა. ისინი უცხო სახელმწიფოს აგენტებათ გვევლინებიან და მის სასარგებლოთ ზოგიერთი კომუნისტები სამხედრო დახვედრასაც არ თაკილობენ.“

„1920 წლის ნოემბრის 6 სად. სალოლში საბაქოს მიერ მატარებლის გაჩხრევის დროს იქნა აღმოჩენილი ერთი ორ ძირიანი ჩემოდანი, ჩემოდანის გატეხისას ძირსა და ძირს შუა აღმოჩნდა ცარიელი ადგილი, სადაც მოაფესებული იყო ჩენი რესპუბლიკის გაზეთები და ბაქოს კომუნისტებისადმი მიწერილი წერილები, ბრძანებები სამხედრო უწყების მიმართ. ჩემოდანის პატრონი აღმოჩნდა მგზავრი ქალი ლიზა ივანეს ასული. არჩვამე, რომელმაც დაკითხვის დროს განაცხადა შემდეგი: ის არის ქუთაისის გუბერნიის სოფ. ქრებალოს მცხოვრები, 26

მოტორიან-ინჟინერის გემი „ალბანია“ სუხუმისკენ გაუქდა.

გემი „პეტროსი“ ამ დღეებში გავა ბათუმიდან და გაივლის რესპუბლიკის სხვა ნავთადგურებში.

### ჯერი და გვარდიის აღლუმი.

დეკემბრის 5-ს ბათუმში მოხდა ჯარის და გვარდიის შეერთებული აღლუმი.

იშვით სანახაობის წარმოადგენდა ამ დღეს სმეკალოვის ქუჩა. ჯარი გვარდია, არტილერია და სახალხო გვარდიის „ტანკები“, მოტოციკლებით ჩამწკრივდნ ფორტ ბურუნტაბიუდან ციხე-სიმაგრეთა შტაბის და მთავრობის განსაკუთრებულ სამართველოს წინ.

აღლუმში მიიღო მთავრობის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ბ-ნმა გრიგოლ ვაიორაძემ და ჯარების სარდალმა გენერალმა ზაქ. მდივანამ. აღლუმში ყურადღებას იქცევდა ასპინძის ბათალიონი და ბათუმის წინიდან ნახეთქი გვარდია, ბ-ნმა გრიგოლ ვაიორაძემ გაახსენა ჯარს და გვარდიას, რომ ის არის დემოკრატიულ სამშობლოს მუშურ და გლეხურ თავისუფლების ერთგული და რაჯი. ჯარი და გვარდია ხანგრძლივ „გაშას“ ძახილით და აღფრთოვანებით შეეგება მთავრობის წარმომადგენელთ აღლუმის დროს მუსიკა უგრავდა ეროვნულ ჰიმნს.

ჯარი შემოსილი იყო ახალი ტანისამოსით. 5 დეკემბრის პარადმა ერთხელ კიდევ და აიშედა ქართველი მოქალაქე, რომ ის ძლიერია შეგნებულ შეიარაღებულ ძლით, რომელიც დაიკავს სამშობლოს საზღვრებს.

წლისა, უქმარშვილო, წვრა-კითხვა არ იცის. ქუთაისიდან მიიღოდა ბაქოში მის საყვარელ სიმონ მაჩაბელთან, რომელიც იქ სტამბაში მსახურობს. როდესაც წასასვლელათ ემზადებოდა, მასთან მოვიდა ერთი უცნობი კაცი და გადასცა ჩემოდანი და სთხოვა გადაეცა მაჩაბლისათვის. მან არ იცოდა რა იყო ჩემოდანში. გაჩხრევის შემდეგ ჩემოდანში, სხვათა შორის, აღმოჩნდა შემდეგი: ერთი წერილი, რამელიც შიმართულია „ამხ. პუნკუსადმი“, დაწერილია საწერი ქალაქის ორივე გვერდზე ფანქარით რუსულად და შეიცავს შემდეგს: „ამხ. პუნკუ თფილისი 5 ოქტომბერი. 28 ს გამოგზავნე შიკრიკი. ვგზავნი ახლა ამას. ძლიერ მეგებება, რომ ის შესძლებს. ის მეტად სიმედოა, ის ცოლია ჩემი და მომეკარა წინადადება სასახურის გაწვევისა, უარი ვერ უთხარი. გზას ის მაინც გაიკვლევს, მხოლოდ წითელი არმიელები ცოტას შეაწუხებენ, არ გაუშვებენ. მე ის დავარიგე, რომ კატეგორიულად მოითხოვას მისი ბაქამდე მიყვანა და იქ



„ოსობი ოტდელის“ განკარგულებაში გადაცემა. ერთი სიტყვით, ის შიდაწესს, სხვა კი თავისუფალი არავინ აყო, რომ გამოემგზავნა. ჩემი მუშაობა გაჩაღებულია ყოველმხრივ: სიღნაღში, ლაგოდნოში, დედოფლისწყაროში, ბორჩალოში, ბათუმში, არტანუჯში, ახალციხეში, ქუთაისში, აჭარაში—ყველაგან გაგზავნილია სერიოზული პირები. გაგზავნილია ზაქათაისის ხრით, ასე წარმოადგინეთ, 2 გაგზავნილი კი მოვახერხებთ, ვიკრებ საინფორმაციო, 2 ივლია ვაციებისაგან. გვიხდები გალოშების და ნაბდების, ფაფახების და საერთოდ, თბილისი ნივთების შესყიდვა, ამიტომ საჩქაროდ საქირა იქნება ფული; რაც გვაქვს აღწერე გამოიღვეთ. ყუთა შინდ დარჩეს, ამხანაგი მოვა ჩემი პაროლით, რომელსაც მიხედვით ფულს. ფულის მისაღები პაროლი იქნება, „НАКАЖИ И ДАШИ ИХИИДИ““. მე უკვე გაცნობე რომ ცხენოსან დივიზიონის ნაწილი უკვე გაგზავნეს 2 ს სანაინის მიმართულებით, 4 ს კი სრულიად გაგზავნეს (1000 კაცი), აქ სულიერი განწყობილება აფორიაქებულია, მა-2 ქვეითა დივიზიონის შტაბში სამი სხდომა იყო: გემოაცხადეს, რომ ყოველ წუთს მზად იყვნენ სანაინის სალოდლის ან არტანისკენ წასახველად. გარდევნეს გამოუცხადეს, რომ 5-ისათვის მზად იყვნენ. 20—30 კაცს პარტიობით აგზავნიან აღებზეჯანის საზღვრებისაკენ. მზად არის 1 ტანკი. მზად არის არტანში გასამგზავრებლათ—„პროტოსი“ ავტომობილი რადიო (კომანდის შენადგენლობა ჯერ არ ვიცით.) ბაზარზე საზღაპრო ფასებია, სპეკულიაცია მძინვარებს, მექოთნეობა, ლოთობა, სულ ერთია რა ნაირიც იქნება მთავრობა—ერთი სიტყვით—ვერ გაივებ რა ხდება. ჯარისკაცებს ყველას არ მათლია საზამთრო ტანი სამოსი. კონკრეტულად ეკონომიურ-ნიდაფზე მუშებს შორის სერიოზულ ხასიათს ღებულობს. მმართველ წრეებში არც დარევა ემჩნევა. ნავთი ცოტაა მოპარაგებული. არის ხაშურში, სად, ავტაგლიაში და როგორც ამბობენ სანაინში. თფილისში ყველაგან გრძელი კუდებია. პაგონები მე გამოიგზავნენ—ხეცრების და სხვა ქვეითა ჯარის 1 დ. 12 ბათალიონამდე. ან საღებავებოთ ხაფიგენ ციფრებს, ან ლითონისას აკეთებენ.

სადარაჯო ბათალიონის პაგონზე კი, სადაც აღნიშნულია ასო „დ“, საქირა ვინტოვკა, როგორ მე 12 ბათალიონისთვის 12—15 ს კდეგ გამოგიგზავნი დაწვრილებით. დიდი დაბრკოლება გველოდება ამხანაგ შიკრიკების გამოგზავნის საქმეში. ამ დაბრკოლებას მით უმეტეს ქმნიან მანდ. თუ უფროსები ერთად ან როგორც ისინი მანდ მოპყავთ თითო კაცს საშუალება ეძლევა საზღვარზე გადასვლისა, მით კინწის კვრით უკან მოერეკებიან. შეეძლოთ დანიტირება და მიყვანა იქ, სადაც საქირაო, მაშინ გამოირკვევოდა საქმის შინაარსი. არ ვიცი როგორ მოვაწოდოთ ორ-ორი ეკვმბლარი გაზეთისა, უცხოეთისას კი ვიციდით ბათუმში. საიდუმლო იაშიკი დანიტოვით მანდ და როცა 15-ს ამხანაგი მოვა ფულისათვის, ისარგებლებს ხსენებული იაშიკით, რომელიც სგონია ჩაიტეფს საქმაო თანხას, თუმცა გაზეთებს მეთს აღარ უშვებენ და საქირაო იქნება ახალის შეკვეთა. ჩემი მუშაობა ფართოვდება და დრისხვდება ყოველის მხრით. დავშობები, კომუნისტურს სიღამით X. თფილისი. იმის

მომტანს (ქალს) ხელი შეუწყვეთ ყოველის მხრით. მეორე წერილში დაწვრილებით აღწერილია ჩვენი ჯარის და გვარლის რიცხვი, მათი შემადგენლობას ჩამოთვლილია უფროსები, აღწერილია ზარბაზნები, თოფები. ტყვიის მფრქვევლები და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. ამ მხრით ახალციხეს, ბათუმს, ქობულეთს, ფოთს, სოხუმს, გაგრას, თფილისს. ამ ადგილების ადმინისტრაციაც აღწერილია. ჩამოთვლილია კომისრების გვარები მილიციონერები და სხვა.

მესამე წერილი შეიცავს თბილისში არსებული ქალაქის სისურსათო, მომარაგების სამინისტროს და კოპერატივთა კავშირის მალაზიების აღწერას. აღწერილია თითოეული მალაზიის საქონელი ცალკე-ცალკედ აღწერილითი სად რამდენია სურსათ-ან საქონელი. ამ აღწერას ასეთა ვწარწერა აქვს: „გაგზავნათ იმ სახით როგორც მივიღეთ 5 ოქტომბერს. შემთხვევით შეხვედრილ ამხანაგისაგან რომელიც გაგებულობს ამ საქმეში და საქმესთანაც იხილოს დგას, მას შეიძლება ვენდოთ სავსებით 5 ოქტომბერი.“

ამ საქმეზე დაპატიმრებულია რამდენიმე პირი, გამოძიება და დაკავებული საბუთების გასინჯვა გრძელდება.

**წერილი რედაქციის მიმართ.**

მოქალაქე რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თვენი ვაზეთის საშვალეებში უდრმესი მადლობა გამოუცხადოთ ამხ. გ. იოლოს, რომელმაც კვირას 5 ნოემბერს წაიკითხა ლექცია ბათუმის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის კომიტეტის საშვალეებთა გასაძლიერებლათ და აგრეთვე გამყრდინის ცირკის გამგეს ბ. ნ. ხუნდაძეს, რომელმაც ლექციისათვის უფასოდ დაგვიმოკირკის შენობა.

აბ. მარ. ორ. ბათუმის კომიტეტი.  
სარედაქციო კოლეგია

**დაიკარგა**

პასპორტი ინგლისის ოკუპაციის დროს მილიციის სამართველოდან მოკლებული № 8127 ახმელ-შეგქეტ კახანჯი-ზადეს სახელზე (ოჯახობით).

სამაზრო სახლი  
კმ. სსსსპილევი და აბს.  
შერეგეტევის ქ. № 74.

ახლად დამზადებული ახალიღვინიან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველამომხმარებელთ, ლითონოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიაღლია.

ნ. ა. გაგუკალიძის მწიკშიწერილი  
სამშაბათს 7 დეკემბერს  
დღეს გაიმართება

**კ. მ. რ ი გ ო ს**

ვრანდიოზული ბენეფისი, რომლებიც შესარულებენ სხვა და სხვა კუპლებებს და „არშინ-მალ-ალანს“

**ჭადლოზან ორი წყვილი**

1 ზაგორუკო—მურომეტის წინააღმდეგ,  
2 უცნობი—სანდაროვის წინააღმდეგ.

ხვალ დიწყება დუროვის გასტროლები.

**გ ა ნ ს ხ ა დ ე ბ ა**

გვაქსპატივი ვაცნობოთ ბ ათუმის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვე

**კმ. აბულაძეებმა გაგხსენათ**

**ს ა ს ა დ ი ლ ო**

ნორიაში, ასათიანის და შებელევის მოსახვევში 19—20 სადაც მზადდება

**იხარული საჭმელები.**

და აგრეთვე იშოვება ღვინო და მკაბრი სასმელები, ყველაფერი ხელ-მი საწვდენათ და ზომიერ ფასებში.

საქმელგას ამზადებს რიგე ცნობილი მზარეული კოსტა აბულაძე. პატივისცემით ანბონ აბულაძე.

**საკომისიო მალაზია**

**„ამხ. სოიუზი“**

(მიხაილოვის 7 15 ლორის-მელიქ. ქ. კუთხ.)

**ვიდულობს და იღებს საკომისიო**

ძვირფას ნივთებს, ბრილიანტებს და სხვა.

**ქალაქ ბათუმში,**

ბათუმის ვაჭთა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში გაიხსნა

**გურულ სიმღერა-გალობის სასწავლებელი**

გორულ მომღერალთა გუნდის მეთაურის,

**პარლამ სიმონიშვილის**

ხელმძღვანელობით მსურველებს შეუძლიან ჩაეწვიონ ყოველ დღე საღამოს 7 საათიდან

**სწავლა დაწყებულია 3 დეკემბრიდან**

**გ ა ვ კ ა ს ი უ რ ი**

**ნატურალური კონიაკი**

ვაჭრობა ბითუმით, ბოქვებით და ბოთლობით.

**კ უ რ ი ს ლ ვ ი ნ ო**

**„რ ე კ ო რ დ ი“**

საუკეთესოდ გაწმენილი „სავალის“ აპარატებით

**მ უ რ ძ ნ ი ს ა რ ა შ ი.**

**ხ ი ლ ი ს ა რ ა შ ი ( „ჭ ა ზ ა ი “ )**

ახლად დამზადებული ახალიღვინიან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველამომხმარებელთ, ლითონოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიაღლია.